ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-61

2010 წლის 12 ივლისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გასასხვისებელი მიწის ნაკვეთების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გასასხვისებელი მიწის ნაკვეთების ნუსხა თანახმად დანართისა.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დამტკიცებული თანდართული ნუსხის შესაბამისად მისი შემდგომი განკარგვის მიზნით, იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ.ბერაძე

დანართი

„დამტკიცებულია"
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 12 ივლისის №-61 განკარგულებით

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გასასხვისებელი
მიწის ნაკვეთების ნუსხა

№	ადგილმდებარეობა	$მ^2$
1	ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №-23-ის მიმდებარედ	70
2	ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №-26-ის მიმდებარედ	286
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ჭახათის თემი სოფ.ცხემვანი	2533
4	ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა პირველი შესახვევი №-2-ის მიმდებარედ	3567